



## სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

### აღმასრულებელი საბჭოს

### სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 31 ოქტომბერი, 2022

სხდომის დაწყების დრო: 18:30

ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ #11.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ინგა სეხნიაშვილი, ია გაბედავა, გიორგი ტურაზაშვილი, რაისა ლიპარტელიანი, (დისტანციურად - Zoom პლატფორმის საშუალებით) თორნიკე ბაქრაძე, ციციხოცვანი ცხვედიანი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ გაწევრიანების მსურველი პირების განცხადებებს (ბათუ ქორჩილავა, მზეონა კვიციანი, ირაკლი მესხი, მარინა კუტუბიძე, მანო გიორგაძე, ხათუნა ხადილაშვილი, ნელი გოგინავა, სოფიკო ცერცვაძე, ლაშა ქურდაძე, სალომე ჩიქოვანი, ედიშერი გამგონიშვილი, მერი ვარამაშვილი, ირაკლი აბურჯანია, მალვინა ცხვირავაშვილი, ელენე გაბუნია, ნინო კუხიანიძე, ლუკა მელიქიძე, ანა პაპუნაშვილი, თამარი ამაღლობელი, მარიამ ქადაგიშვილი, ელენე სურგულაძე, ნინო ჩალაძე, მარიამი ხუჯაძე, სალომე მუმლაძე, ქეთევან ჯიშკარიანი, ნინო სეფაშვილი, ანა არაბული, ელისაბედ ელიკაშვილი, საბა ფერაძე, თინათინ ხავთასი, თამარ სოხაძე, მაგფდა ჯიჯელავა, ლიკა გოგაძე, ანი სუარიძე, სალომე ჯალაღანია, თამარ დარსალია, ანა სიამაშვილი, ასლან ფუტკარაძე, ცირა ჯავახიშვილი, თინათინ ხითარიშვილი, მარიამ პერანიძე, ანა გვენცაძე, მარიამ ჭიკაძე, მარიამ კაიშაური, ხატია კვიციანი, ანა ბაქრაძე, ცირა ზაზაშვილი, ანა მუხამაზია, თამარ ენუქიძე, ნანა კალანდაძე, თამარ ციხითათრიშვილი, ირინა გახელაძე, თეონა სულაქველიძე, მერი გოქაძე, სალომე კუბლაშვილი, ლიზა ჭრიკიშვილი, თათია ომარაშვილი, გვანცა გუგუციძე, სოფიო ფარფალია,

ანანო ბურდილაძე, გვანცა თედიაშვილი, ელენე ჯიქია, მარიამ ბუდალაშვილი, მაია აბრამიშვილი, გიორგი ფანცულაია, ქრისტი გიორხელიძე, გაია უსტარაშვილი, მარიამ ჭანტურია, ქეთევან მესხიშვილი, ლექსო სვიმონიშვილი, სოფიო კობახიძე, ნინო წიქორიძე, ირმა ხელაძე, ხვარამზე ცერცვაძე, გიორგი სახლთხუციშვილი, ნინო გელაჭეიშვილი, ალექსანდრე წერეთელი, ირაკლი სოხაძე, თამთა მარგველაშვილი, თემური ოთანაძე, ირაკლი მარგველაშვილი, ქრისტინე ადეიშვილი, ანა დევდარიანი, ანანო ტოგონიძე, ბექა მოსემიძე, ლალი აბრამიძე, ნინო ფხოველიშვილი, თეონა გუჯეჯიანი, თამარ სიმონიშვილი, სალომე ბაბუხაძია, დავით ჯაოშვილი, სალომე ბუხნიკაშვილი, ხატია ცეცხლაძე, სალომე ჩხეიძე, ანა დუმბაძე, ოთარ სანთელაძე, ნათია ფაცურია, სოფიკო ფუტკარაძე, რევაზ ხოფერია, მარიამ წოწორია, თორნიკე ცინარიძე, გაგი მელიქიძე, თეონა გაჩეჩილაძე, გვანცა როგავა, ნათია ხვედელიძე, დავითი ძიმისტარაშვილი, ნათია ქურდაძე, თინათინ ჭინჭარაული, თამარ კაკაბაძე, თეონა ლებანიძე, ქეთევან ჭულუხაძე, მარიამ გალჩევა, მელიტა დიაკონიძე, ლია მეტრეველი, თამთა ცინცაძე, ანა ხვედელიანი, თათია ცაავა, რომან ქუქჩიშვილი, ლევან ქოქოშვილი, ამირან გიგუაშვილი, გოგიტა ტალახაძე, ანა სართანია ილმაზი, თორნიკე გიორგაძე, ლევან ხელხელაური, გიორგი მოსიაშვილი, როლანდ ჩხაიძე, ელენე ჯაფარიძე, ნინო გოგოშვილი, ანნა ჯიშკარიანი, ქეთევან ჩიჩუა).

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ყველა ზემოჩამოთვლილი პირის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

## **საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.**

წევრები გაეცნენ თეიმურაზ ორკოდაშვილის, ჯაბა გველებიანის, დიმიტრი გოგალაძის, ვახტანგ ბურჯანაძის, დიმიტრი ჩადუნელის, პაატა ხოტენაშვილის, ლევან ტყემელაშვილის, გიორგი ლომიძის, ინგა არახამიას, ანა გუჯარაიძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს თეიმურაზ ორკოდაშვილის, ჯაბა გველებიანის, დიმიტრი გოგალაძის, ვახტანგ ბურჯანაძის, დიმიტრი ჩადუნელის, პაატა ხოტენაშვილის, ლევან ტყეშელაშვილის, გიორგი ლომიძის, ინგა არახამიას, ანა გუჯარაიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

**საკითხი 3.** წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ მარიამი ხუჯაძის, ანა გუჯარაიძის, თეონა კილაძის, დოდო ჯულელის, ანა ჭაიას, ნათია გელაძის, ქეთევან სოფრომაძის განცხადებებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>2</sup> მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21<sup>2</sup> მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს მარიამი ხუჯაძის, ანა გუჯარაიძის, თეონა კილაძის, დოდო ჯულელის, ანა ჭაიას, ნათია გელაძის, ქეთევან სოფრომაძის განცხადებები წევრობის შეჩერების თაობაზე.

**საკითხი 4.** ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემა.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ წევრების რაოდენობა, რომელთაც 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადაუვადდათ საწევრო დავალიანების გადახდა, შეადგენდა 83 პირს. აქედან, 2021 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა რაოდენობა იყო 35, ხოლო 2021-2022 წლების საწევრო დავალიანება კი ჯამურად 83 პირს ერიცხებოდა.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აღმასრულებელი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის თაობაზე. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად,

აღმასრულებელი საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, იღებს გადაწყვეტილებას წევრობის შეწყვეტის თაობაზე. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარე სხდომაზე ორი წევრი დისტანციურ ფორმატში იღებს მონაწილეობას, აღნიშნულ საკითხზე ფარული კენჭისყრა ვერ ჩატარდება. მან მიმართა წევრებს წინადადებით საწევრო დავალიანების მქონე წევრებისთვის დავალიანების გადახდის ბოლო ვადად მ/წლის 15 ნოემბრის განსაზღვრისა და შესასაბამისად, აღნიშნული საკითხის მომდევნო სხდომისთვის გადადების შესახებ.

წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების თანახმად, 2022 წლის 31 ოქტომბრამდე გადავადებული 2021-2022 წლების საწევრო დავალიანების მქონე წევრების მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს 15 კალენდარული დღით, 2022 წლის 15 ნოემბრამდე.

**საკითხი 5.** ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ მაკო მაისურაძის, თამრიკო ჭეჭელაშვილის, პაატა ნაკაიძის, სულხანი კაპანაძის, ბაჩუკი ყურაშვილის, გიორგი ანთაძის, მალხაზ გობოსაშვილის, ოლღა გეჯაძის, იოსებ ნატროშვილის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად მაკო მაისურაძის, თამრიკო ჭეჭელაშვილის, პაატა ნაკაიძის, სულხანი კაპანაძის, ბაჩუკი ყურაშვილის, გიორგი ანთაძის, მალხაზ გობოსაშვილის, ოლღა გეჯაძის, იოსებ ნატროშვილის კანდიდატურები. გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

**საკითხი 6.** განცხადებების განხილვა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის თაობაზე.

წევრები გაეცნენ:

(ა) ინა მელაძის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში გადიოდა სტაჟირების ნაწილს, თუმცა მისი სამსახურის გრაფიკიდან გამომდინარე, ვეღარ ახერხებდა არსებულ მენტორთან სტაჟირების გაგრძელებას. მას სურდა სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლა და უკვე შერჩეული ჰყავდა მენტორიც, რომელიც ამავე სამსახურში იყო დასაქმებული.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

**აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ინა მელაძის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.**

(ბ) ნათია წიბტაურის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში გადიოდა სტაჟირების ნაწილს, თუმცა გარკვეული, პირადი მიზეზებიდან გამომდინარე, სურდა სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლა.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

**აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნათია წიბტაურის განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.**

(გ) ქრისტინე ხავთამბას განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში გადიოდა სტაჟირების ნაწილს, თუმცა სტაჟირების გრაფიკის შეუთავსებლობის გამო, მას სურდა სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლა.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანხმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ქრისტიანე ხავზამბას განცხადება. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს. გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

**საკითხი 7.** განცხადებების განხილვა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში თეორიული კურსის საფასურის დარჩენილი ნაწილის გადანაწილების თაობაზე.

წევრები გაეცნენ:

(ა) ლუკა კაკიაშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი იყო პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილე და ითხოვდა თეორიული კურსის საფასურის გადანაწილებას პრაქტიკული კურსის დასრულებამდე.

მათ განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-14 მუხლის, 14.3 პუნქტის თანახმად, თეორიული საფასურის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, სწავლების 3 თვეზე გადანაწილებით. თუმცა, რადგან განმცხადებელი აღნიშნულ ვადაში ვერ ახერხებს კურსის საფასურის სრულად გადახდას, მიზანშეწონილია, მას ადაპტაციის ერთწლიანი პროგრამის დასრულებამდე მიეცეს თეორიული კურსის საფასურის ეტაპობრივად გადახდის შესაძლებლობა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ლუკა კაკიაშვილის განცხადება და მას პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის საფასურის გადახდა გადაუნაწილდეს აღნიშნული პროგრამის სრული ერთწლიანი ვადის ფარგლებში. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

(ბ) თამარ მჭედლიშვილის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ იგი იყო პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილე და ითხოვდა თეორიული კურსის საფასურის გადანაწილებას პრაქტიკული კურსის დასრულებამდე.

მათ განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-14 მუხლის, 14.3 პუნქტის თანახმად, თეორიული საფასურის გადახდა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, სწავლების 3 თვეზე გადანაწილებით. თუმცა, რადგან განმცხადებელი აღნიშნულ ვადაში ვერ ახერხებს კურსის საფასურის სრულად გადახდას, მიზანშეწონილია, მას ადაპტაციის ერთწლიანი პროგრამის დასრულებამდე მიეცეს თეორიული კურსის საფასურის ეტაპობრივად გადახდის შესაძლებლობა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს თამარ მჭედლიშვილის განცხადება და მას პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული კურსის საფასურის გადახდა გადაუნაწილდეს აღნიშნული

პროგრამის სრული ერთწლიანი ვადის ფარგლებში. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

**საკითხი 8.** 2022 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების თარიღების განსაზღვრა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, 2022 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღებად 2022 წლის 4, 11 და 18 დეკემბრის განსაზღვრის შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. **მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: 2022 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღებად დადგინდეს 2022 წლის 4, 11 და 18 დეკემბერი.**

**საკითხი 9.** სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ზურაბ ელიაშვილის განცხადებას. სხდომას ესწრებოდა განცხადების ავტორი - ზურაბ ელიაშვილი, რომელმაც განმარტა, რომ მ/წლის 15 მარტს, მადონა ძინძიბაძის სასარგებლოდ მის მიერ გადახდილ იქნა საწევრო 100 ლარის ოდენობით, თუმცა, რადგან გადახდის დანიშნულებაში არ მიუთითა შესაბამისი ინფორმაცია, მის მიერ განხორციელებული გადახდა ჩაითვალა გადამხდელის ანუ ზურაბ ელიაშვილის სასარგებლოდ წინსწრებით გადახდილ საწევროში, ხოლო მადონა ძინძიბაძეს შეუწყდა წევრობა აღნიშნულ პერიოდში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, საწევროს გადაუხდელობის გამო. განმცხადებელი ითხოვდა მის მიერ მ/წლის 15 მარტს განხორციელებული საწევროს გადახდის ჩათვლას მადონა ძინძიბაძის სასარგებლოდ და აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებას მადონა ძინძიბაძის უფლებამოსილების შეწყვეტის ნაწილში.

(ბ) მადონა ძინძიბაძის განცხადებას. სხდომას ესწრებოდა განმცხადებელი, რომელმაც განმარტა, რომ მ/წლის 15 მარტს მან სთხოვა ადვოკატ ზურაბ ელიაშვილს საწევროს გადახდა. გადახდის დროს, ზურაბ ელიაშვილის მიერ დანიშნულების გრაფაში მითითებულ იქნა გადამხდელის - ზურაბ ელიაშვილის სახელი და გვარი, რის გამოც გადახდილი თანხა დაფიქსირდა არა მადონა ძინძიბაძის, არამედ ზურაბ ელიაშვილის სახელზე და იმის გათვალისწინებით, რომ ზ.ელიაშვილს გადახდილი ჰქონდა თავისი საწევრო გადასახადი, აღნიშნული გადახდა ჩაეთვალა წინსწრებით გადახდილად 2023 წლის საწევროში, ხოლო მადონა ძინძიბაძეს შეუწყდა წევრობა საწევროს გადაუხდელობის საფუძველით. იგი ითხოვდა აღნიშნული შეცდომის გასწორებას: კერძოდ, ზურაბ ელიაშვილის მიერ 2022 წლის 15 მარტს

გადახდილი 100 ლარის ჩათვლას მადონა ძინძიბაძის საწევრო გადასახადში, უფლებამოსილების აღდგენას 2022 წლის 15 მარტიდან და აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებას მადონა ძინძიბაძის უფლებამოსილების შეწყვეტის ნაწილში.

მ.ძინძიბაძემ განაცხადა, რომ მისთვის არ იყო ცნობილი ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ. შესაბამისად, ზ/აღნიშნული პერიოდის განმავლობაში იგი ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას.

ასევე, წევრებმა მოისმინეს ასოციაციის ფინანსური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლითაც დადასტურდა ორივე განმცხადებლის განმარტებაში მოყვანილი ფაქტები.

მათ განაცხადეს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის, მე-2 პუნქტის თანახმად, აღმასრულებელ საბჭოს შეუძლია იმსჯელოს ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ მადონა ძინძიბაძის უფლებამოსილების შეწყვეტის ნაწილში. თუმცა “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღნიშნული პროცედურა ითვალისწინებს ფარულ კენჭისყრას, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარე სხდომაზე ორი წევრი დისტანციურ ფორმატში იღებს მონაწილეობას, აღნიშნულ საკითხზე ფარული კენჭისყრა ვერ ჩატარდება. შესაბამისად, მან მიმართა წევრებს საკითხის მომდევნო სხდომაზე გადადების თაობაზე.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: მადონა ძინძიბაძის და ზურაბ ელიაშვილის განცხადებების განხილვა განახლდეს მომდევნო სხდომაზე. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.**

(გ) კოტე სხულუხიას განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მას ჰყავდა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე არასრულწლოვანი, რომელიც მკურნალობდა საზღვარგარეთ, რაც დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებთან. ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროს შეადგენდა განმცხადებლის პენსია, რის გამოც მას ჰქონდა მძიმე მატერიალური მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, კოტე სხულუხიამ მომართა ასოციაციას, საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ კოტე სხულუხიას შეწყვეტილი ჰქონდა წევრობა 2022 წლის 31 მარტის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო. მას ერიცხებოდა 2022 წლის საწევრო დავალიანება 100 ლარის ოდენობით. განმცხადებელი სარგებლობდა 2019 წლის 31 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს



მიერ საპენსიო ასაკის მქონე წევრებზე დადგენილი 50%-იანი საშელავათო საწევროთი და მის მიერ გადასახდელი წლიური საწევროს რაოდენობა შეადგენდა 100 (ასი) ლარს.

წევრებმა განაცხადეს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე კონკრეტული მოთხოვნის განხილვა შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით არ რეგულირდება, აღმასრულებელი საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ყველა ინდივიდუალურ განცხადებას განიხილავს ერთიანი სტანდარტით და მაქსიმალურად ითვალისწინებს განცხადებაში მითითებულ გარემოებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა განმცხადებლის მიმართ თანაბრად სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების სტანდარტი.

შესაბამისად, სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს კოტე სხულუხიას მოთხოვნა საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე.

**აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს კოტე სხულუხიას განცხადება საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.**

(დ) ირაკლი ბოლქვაძის განცხადებას, რომლიც აღნიშნული იყო, რომ მონაწილეობდა 2008 წლის აგვისტოს ომში, არის ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი (დგინდება თანდართული დოკუმენტით) და ამავდროულად ცხოვრობდა მაღალმთიან რეგიონში. სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდში შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები და აღნიშნული გარემოებების საფუძველზე ითხოვდა 2022 წლის ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის საფასურისგან გათავისუფლებას.

**აღნიშნულ საკითხებზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ირაკლი ბოლქვაძის განცხადება და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს განმცხადებელს;**

(ე) თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ.

მან განაცხადა, რომ მ/წლის 9 ნოემბრიდან ვაკანტური ხდება ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორის პოზიცია. ასოციაციის წესდების მე-16 მუხლის, 16.7 პუნქტი და ასოციაციის აპარატის მოსამსახურეთა კონკურსის ჩატარების შესახებ დებულების 3<sup>1</sup> მუხლი არეგულირებს აპარატის თანამშრომელთა შერჩევის და შიდა გადაყვანის წესებს, რომლის თანახმად შესაძლებელია, უკვე შერჩეული თანამშრომლის კონკურსის გარეშე გადაყვანა საშტატო განრიგით განსაზღვრულ სხვა პოზიციაზე.

მან აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორის ვაკანტურ პოზიციაზე წევრებს შესთავაზა იერარქიულად აღნიშნული პოზიციის შესაბამისი - მოქმედი სასწავლო ცენტრის კოორდინატორის - რამაზ ცინცაძის კანდიდატურა, ხოლო ეს უკანასკნელი პოზიცია გახდებოდა ვაკანტური და გამოცხადდებოდა კონკურსი.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 16.7 პუნქტისა და ასოციაციის აპარატის მოსამსახურეთა კონკურსის ჩატარების შესახებ დებულების 3<sup>1</sup> მუხლის თანახმად, 2022 წლის 9 ნოემბრიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორის ვაკანსიაზე გადმოყვანილ იქნას სასწავლო ცენტრის კოორდინატორი - რამაზ ცინცაძე.
- 2022 წლის 09 ნოემბრიდან ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის კოორდინატორის პოზიცია გამოცხადდეს ვაკანტურად.

აღმასრულებელი საბჭოს შემდგომი სხდომა ჩაინიშნა მ/წლის 15 ნოემბერს.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: [www.gba.ge](http://www.gba.ge).

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე